

ქ.თბილისი

2021 წლის 9 მაისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 9 მაისს, დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ რეჟიმში სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ მონაწილე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ირაკლი ჩიქავა, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ლაშა მაჭავარიანი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის ვ. ბერეკაშვილის ოქმი, მთავარი მსაჯის ვ. გელოზიას წითელი ბარათის ოქმები და ვიდეომასალა, ამა წლის 29 აპრილს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩზე, გორის „გორი“-სა და თბ „ხულიგანა“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. გორის „გორი“-ს მორაგბე გიგი გოგიშვილი - კონფლიქტის პროვოცირება.
2. გორის „გორი“-ს მორაგბე სანდრო ცირეკიძე - შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა (ფეხის ჩარტყმა).
3. გორის „გორი“-ს მორაგბე შოთა შუბითიძე - შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა (ფეხის ჩარტყმა).
4. გორის „გორი“-ს მორაგბე ნიკა კვალიაშვილი - მოედანზე მსაჯის ნებართვის გარეშე შესვლა და წარმოქმნილ კონფლიქტში მონაწილეობა.
5. თბ „ხულიგანა“-ს მორაგბე სანდრო ქობულაძე - კონფლიქტის პროვოცირება.
6. თბ „ხულიგანა“-ს მორაგბე ანრი ჯიშკარიანი - შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა (ფეხის ჩარტყმა).
7. თბ „ხულიგანა“-ს მორაგბე მიხეილ ნინუა - შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა (ფეხის ჩარტყმა).

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7, 2.2.8, 2.2.9 სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართ # 1-ის 2.7, 2.8, 2.9 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

#### გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. გორის „გორი“-ს მორაგბე გიგი გოგიშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით.
2. გორის „გორი“-ს მორაგბე სანდრო ცირეკიძე დისკვალიფიცირებული იქნას 4(ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
3. გორის „გორი“-ს მორაგბე შოთა შუბითიძე დისკვალიფიცირებული იქნას 4(ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო გუნდი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
4. გორის „გორი“-ს მორაგბე დავით ნიკა კვალიაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 5(ხუთი) სათამაშო კვირით, ხოლო გუნდი დაჯარიმდეს 300(სამასი) ლარით.
5. თბ „ხულიგანა“-ს მორაგბე სანდრო ქობულაძე დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.
6. თბ „ხულიგანა“-ს მორაგბე ანრი ჯიშკარიანი დისკვალიფიცირებული იქნას 4(ოთხი) სათამაშო კვირით. ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
7. თბ „ხულიგანა“-ს მორაგბე მიხეილ ნინუა დისკვალიფიცირებული იქნას 4(ოთხი) სათამაშო კვირით. ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
8. კლუბების მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.8 და 2.9 პუნქტები და კლუბ გორის „გორს“ ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 3 (სამი) საცხრილო ქულა, ხოლო კლუბ თბ „ხულიგანა“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 2 (ორი) საცხრილო ქულა.